

ინსტრუქცია

ტესტი სამი ნაწილისაგან შედგება:

- (1) ნაკითხულის გააზრება (50 წუთი)
- (2) ლოგიკა (60 წუთი)
- (3) რაოდენობრივი მსჯელობა (55 წუთი)

ტესტის ყოველ დავალებას თან ახლავს რამდენიმე სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი. თითოეული დავალება ფასდება 1, 0 ან -0,2 ქულით.

სწორი პასუხის გაცემისთვის იწერება 1 ქულა.
 თუ არც ერთი პასუხი არ არის მონიშნული, იწერება 0 ქულა.
 არასწორი პასუხისთვის აკლდება 0,2 ქულა (ანუ იწერება -0,2 ქულა).

თქვენ დაგირიგდათ ტესტურ დავალებათა რეეული და პასუხების ფურცელი. ტესტურ დავალებათა რეეულში დატოვებული ცარიელი ადგილი შეგიძლიათ გამოიყენოთ თქვენი შეხედულებისამებრ. **გაითვალისწინეთ, ნამუშევრის ეს ნაწილი არ მონმდება. თქვენი ნაშრომი შეფასდება მხოლოდ პასუხების ფურცლის მიხედვით.**

პასუხები უნდა მონიშნოთ პასუხების ფურცელში ისე, როგორც ეს შემდეგ ნიმუშზეა ნაჩვენები პირველი დავალებისთვის. თუ თქვენ შეცდომით მონიშნეთ პასუხი, უფლება გექვსათ გამოასწოროთ თქვენი შეცდომა. ამისათვის სრულად უნდა გააფერადოთ აღნიშნული უჯრა. ამის შემდეგ შეგიძლიათ მონიშნოთ თქვენთვის სასურველი სხვა უჯრა, როგორც ეს მე-3 დავალებისთვის არის ნაჩვენები, ან დატოვოთ დანარჩენი უჯრები ცარიელი, როგორც ეს მე-4 დავალებისთვის არის ნაჩვენები (ამ უკანასკნელ შემთხვევაში ითვლება, რომ არც ერთი პასუხი არ არის მონიშნული და დავალება ფასდება 0 ქულით).

პასუხების ფურცელი აუცილებლად უნდა შეავსოთ იმ კალმით, რომელიც დაგირიგდათ.

| | 1. | 2. | 3. | 4. | 5. |
|----|-------------------------------------|--------------------------|---|---|--------------------------|
| ა. | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| ბ. | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| გ. | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| დ. | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input style="background-color: black;" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| ე. | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input style="background-color: black;" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

მთელი ტესტის შესასრულებლად გექვსათ 2 საათი და 45 წუთი .

გისურვებთ წარმატებას!

წაკითხულის გააგრება

სამუშაოდ გექლევათ 50 წუთი

მოცემულ ტექსტებს ერთვის შეკითხვები სავარაუდო პასუხებით. გაიაზრეთ ტექსტი და თითოეული შეკითხვის სავარაუდო პასუხებიდან აირჩიეთ ის ვარიანტი, რომელიც მართებულია ტექსტის მიხედვით.

ტექსტი A

ერთი ენიდან მეორეში ენობრივი ელემენტების შესვლა ენათა შორის კონტაქტების შედეგია, რასაც საფუძვლად უდევს ამ ენებზე მოლაპარაკე ადამიანთა მეტ-ნაკლებად ხანგრძლივი კულტურულ-ისტორიული ურთიერთობა. ეს კონტაქტები სხვადასხვა ხასიათისა შეიძლება იყოს. ამის კარგი მაგალითია ინგლისური ენის ჩამოყალიბების ისტორია.

ყველაზე ადრინდელი კონტაქტები ინგლისურს კელტურ ენებთან ჰქონდა. ჩვენი წელთაღრიცხვის V საუკუნეში ინგლისურ ენაზე მოლაპარაკე ტომებმა დაიპყრეს ბრიტანეთის კუნძულები, სადაც მათ კელტურ ენებზე მოლაპარაკე ადგილობრივი მოსახლეობა დახვდათ. ადგილობრივმა კელტურმა მოსახლეობამ დროთა განმავლობაში თანდათან აითვისა ინგლისური, რომელმაც საბოლოოდ განდევნა ხმარებიდან კელტური და მთელი მოსახლეობის საერთო ენად იქცა. ასეთ ვითარებაში, სავარაუდოა, რომ ადგილობრივი მოსახლეობა ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე იყო ორენოვანი – ერთნაირად ფლობდა როგორც კელტურს, ისე ინგლისურს. მაგრამ კელტური თანდათან გამოვიდა ხმარებიდან და მთელი მოსახლეობის ერთადერთი ენა ინგლისური გახდა. ორენოვნების პერიოდში კელტურიდან ინგლისურ ენაში სიტყვების მცირე რაოდენობა შევიდა.

ბრიტანეთის კუნძულების ეს ენობრივი ვითარება მეტად წააგავს იმას, რასაც ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტზე ვხვდებით. ინგლისური ისეთივე დამოკიდებულებაშია კელტურთან, როგორც ამერიკული ინგლისური ენა ამერიკელ ინდიელთა ენებთან. ამ ენებიდან ინგლისურში შესულია არსებითი სახელების გარკვეული რაოდენობა. ამგვარი ვითარება ენათა კონტაქტების შემთხვევაში, როდესაც ერთი ენა მეორისაგან მხოლოდ მცირედს სესხულობს, სოციალურ-პოლიტიკური ფაქტორებით უნდა აიხსნას.

სწორ შემთხვევაში ადგილობრივი, დამხვდური მოსახლეობა სწავლობს დამპყრობი, გაბატონებული ტომების ენას, რომელიც „პრესტიჟულია“. ადგილობრივი მოსახლეობა იძულებულია, ეს ენა ხარვეზების გარეშე, ზედმიწევნით შეისწავლოს, იმ სახით, რა სახითაც ის გაბატონებულ ფენებშია გავრცელებული. კელტურ-ინგლისური ენობრივი კონტაქტების შემთხვევაში ადგილობრივმა მოსახლეობამ უცვლელად აითვისა ძველი ინგლისური, როგორც იმ დროს გაბატონებული სოციალური ფენის ენა, მიუხედავად იმისა, რომ ინგლისურ ენაზე მოლაპარაკე დამპყრობლების რაოდენობა ნაკლები იყო დამხვდურ კელტურ მოსახლეობაზე.

მეორე ტიპობრივ სიტუაციას ენობრივი კონტაქტების შედეგების თვალსაზრისით წარმოადგენს ინგლისური XI საუკუნეში, როდესაც კუნძულებზე შემოჭრილმა ნორმანი დამპყრობლების შედარებით მცირერიცხოვანმა ჯგუფმა ხელში ჩაიგდო პოლიტიკური ძალაუფლება და ქვეყნის მმართველი ფენა გახდა. აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაში შექმნილი ენობრივი სიტუაცია განსხვავდებოდა იმ ვითარებისაგან, რომელიც ბრიტანეთის კუნძულებზე V

საუკუნეში იყო. ნორმანული ფრანგული ინგლისში მხოლოდ გარკვეული ხნით გავრცელდა, ისიც მოსახლეობის მცირერიცხოვან ჯგუფში. ცოტა ხანში კი ფრანგული მთლიანად განდევნა ინგლისურმა ენამ. ეს იმით უნდა აიხსნას, რომ ადგილობრივი მოსახლეობა ურთიერთობას აგრძელებდა ინგლისურ ენაზე, ხოლო ფრანგული სიტყვები მათ ენაში შეიჭრა მხოლოდ იმ კულტურული სფეროებიდან, რომელთა ფარგლებშიც ბრიტანელებს ჰქონდათ ურთიერთობა ნორმანთა მმართველ ფენებთან.

ენათა კონტაქტების მესამე ტიპობრივ სიტუაციას წარმოადგენს IX-XI საუკუნეებში ინგლისური და სკანდინავური ენების ურთიერთობა, როდესაც ეს ენები ერთდროულად, ერთმანეთის პარალელურად გამოიყენებოდა; კულტურისაგან განსხვავებით სკანდინავურმა ბევრი სიტყვა შესძინა ინგლისურს. ფრანგულისაგან განსხვავებით, ინგლისურ ენაში დამკვიდრებული სკანდინავური სიტყვები მაღალ კულტურულ სფეროებს კი არ განეკუთვნება, არამედ ყოველდღიურ ლექსიკას. ინგლისურისა და სკანდინავურის ურთიერთგავლენა კარგი ილუსტრაციაა ისეთი სიტუაციისა, როდესაც მოსახლეობაში გავრცელებულია თანაბარი პრესტიჟის მქონე ორი ენა. განხილული ტიპის გავლენა ორენოვნების ხანგრძლივი პერიოდის შედეგია; საბოლოოდ დამკვიდრდა „ერთენოვნება“ სკანდინავურის განდევნის ხარჯზე, რომელიც უფრო მცირერიცხოვანი მოსახლეობის ენა იყო. ამ ორენოვნებიდან ინგლისური გამოვიდა როგორც გამარჯვებული, თუმცა მნიშვნელოვნად შეცვლილი.

1. რა არის ტექსტის ავტორის მთავარი მიზანი?

- (ა) ენობრივი კონტაქტების მნიშვნელობის წარმოჩენა ინგლისური ენის ჩამოყალიბების მაგალითზე.
- (ბ) ინგლისური ენის განვითარების ერთ-ერთი მთავარი ეტაპის განხილვა.
- (გ) დამპყრობლების მიერ ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ გატარებული ენობრივი პოლიტიკის განხილვა.
- (დ) ენის ჩამოყალიბებაში ადგილობრივი მოსახლეობის როლის ჩვენება.

2. ტექსტის მიხედვით, რომელ ენას ეწოდება „პრესტიჟული“?

- (ა) ენას, რომელზედაც საუბრობს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი.
- (ბ) ენას, რომელიც გაბატონებულ ფენებშია გავრცელებული.
- (გ) ენას, რომელზედაც საუბრობს ადგილობრივი მოსახლეობის კულტურული ფენა.
- (დ) ენას, რომელიც გამოირჩევა მდიდარი ლექსიკით და დახვეწილი სტრუქტურით.

3. ტექსტის მიხედვით, კულტური ენა

- (ა) გამოვიდა ხმარებიდან, მაგრამ გარკვეული კვალი დატოვა ინგლისურში ცალკეული ლექსიკური ერთეულების სახით.
- (ბ) შეერწყა ინგლისურს და საფუძვლად დაედო თანამედროვე ინგლისურ ენას.
- (გ) უცვლელად იქნა შენარჩუნებული და მას დღესაც იყენებს ბრიტანეთის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი.
- (დ) გამოვიდა ხმარებიდან ისე, რომ კვალი საერთოდ არ დაუტოვებია თანამედროვე ინგლისურში.

4. ტექსტიდან გამომდინარე, რომელი მსჯელობა უნდა მივიჩნიოთ სწორად?

- (ა) დამპყრობლის ენა ყოველთვის განდევნის ადგილობრივ ენას, ისე რომ არაფერს სესხულობს მისგან.
- (ბ) დამპყრობლის ენა ყოველთვის განდევნის ადგილობრივ ენას, თუმცა შესაძლებელია გარკვეული სიტყვები ისესხოს მისგან.
- (გ) დამპყრობლის ენა ყოველთვის ვერ განდევნის ადგილობრივ ენას, თუმცა შესაძლებელია გარკვეული გავლენა მოახდინოს მასზე.
- (დ) დამპყრობლის ენა ვერ განდევნის ადგილობრივ ენას და არ ახდენს მასზე გავლენას.

5. ინგლისური ენა ჩამოყალიბდა

- (ა) ნორმანული ფრანგულის, როგორც პოლიტიკური ძალაუფლების მქონე მმართველი ფენის ენის ძლიერი ზეგავლენით.
- (ბ) კელტურ ენებთან, როგორც დამხვედური, ადგილობრივი მოსახლეობის ენებთან შერწყმით.
- (გ) სკანდინავური ენის მნიშვნელოვანი გავლენით, რაც თანაბარი პრესტიჟის მქონე ორი ენის პარალელურად არსებობის ხანგრძლივი პერიოდის შედეგია;
- (დ) მნიშვნელოვანი ენობრივი ზეგავლენების გარეშე, რაც საზოგადოდ დამახასიათებელია კუნძულებზე გავრცელებულ ენათა უმეტესობისათვის.

6. რა მიმართებაა ბოლო აბზაცსა და ტექსტის დანარჩენ ნაწილებს შორის?

- (ა) ბოლო აბზაცში გამოთქმულია ტექსტში წარმოდგენილი აზრის საპირისპირო თვალსაზრისი.
- (ბ) ბოლო აბზაცი წარმოადგენს წინა აბზაცში გამოთქმული აზრის შეჯამებას.
- (გ) ბოლო აბზაცში მოწოდებულია ახალი ინფორმაცია, რომელიც ტექსტის დანარჩენ ნაწილებთან ერთად ავსებს მთლიანი ტექსტის ძირითად თემას.
- (დ) ბოლო აბზაცში დასაბუთებულია წინა აბზაცში გამოთქმული მოსაზრება.

7. სხვადასხვა მიზეზის გამო ფრანგული ენა ვერ გაბატონდა ბრიტანეთში. ქვემოთ ჩამოთვლილი მიზეზებიდან რომელი არ დასტურდება ტექსტში?

- (ა) ადგილობრივი მოსახლეობა ურთიერთობას აგრძელებდა ინგლისურ ენაზე.
- (ბ) ნორმანთა ბატონობის ხანგრძლივობა არ აღმოჩნდა საკმარისი ენობრივი სიტუაციის შესაცვლელად.
- (გ) ფრანგული ენა საზოგადოებრივი ცხოვრების მხოლოდ გარკვეულ სემინტს მოიცავდა.
- (დ) პოლიტიკური ძალაუფლება ხელში ჩაიგდო მცირერიცხოვანმა ჯგუფმა, რომელიც ინგლისურ ენაზე ლაპარაკობდა.

ტექსტი B

მხატვრული ლიტერატურა და ლიტერატურათმცოდნეობა ერთმანეთისაგან იმთავითვე უნდა გაიმიჯნოს. ლიტერატურული ნაწარმოების შექმნა და ლიტერატურული ნაწარმოების ანალიზი ორი, ერთმანეთისაგან განსხვავებული პროცესია. ეს თვალსაზრისი არაერთხელ ქცეულა განსჯის საგნად. ისეთი მოსაზრებაც კი გამოთქმულა, რომ თუ ადამიანს თავად არასდროს შეუქმნია ლიტერატურული ნაწარმოები, ის ვერ შეძლებს მის ანალიზს, ვერ გააანალიზებს, მაგალითად, ტიციან ტაბიძის ლექსს, თუ ერთხელ მაინც არ შეუთხზავს ლირიკული ლექსი.

რა თქმა უნდა, კარგია, როდესაც ადამიანს ლიტერატურული ნაწარმოების შექმნის გამოცდილება აქვს, მაგრამ ლიტერატურის კვლევის მიზანი მაინც სხვაა. ლიტერატურის მკვლევარმა ნაწარმოების ანალიზი გარკვეული სამეცნიერო ტერმინების საშუალებით უნდა მოახდინოს; მან რაციონალურ სქემაში უნდა მოაქციოს კვლევა, რათა საბოლოოდ, კვლევის შედეგად ჩამოაყალიბოს გარკვეული ცოდნა ლიტერატურული ნაწარმოების შესახებ. მართალია, კვლევის საგანი ირაციონალურია, ან უხვად შეიცავს ირაციონალურ ელემენტებს, მაგრამ ლიტერატურის მკვლევარი ისეთივე პოზიციაშია, როგორშიც, მაგალითად, სოციოლოგი თუ ანატომი.

როგორ მივუდგეთ ხელოვნებას, ლიტერატურის ნიმუშებს გონებით? რამდენად არის ეს შესაძლებელი და როგორ? ამ საკითხთან დაკავშირებით სხვადასხვა აზრია გამოთქმული. მაგალითად, არსებობდა მოსაზრება, რომ ლიტერატურული ანალიზი შეიძლება ჩატარდეს იმ მეთოდებით, რომლებიც ფუნდამენტურ მეცნიერებებშია მიღებული. მიიჩნევდნენ, აგრეთვე, რომ ლიტერატურის კვლევაში შესაძლებელია ისეთი ზოგადი სამეცნიერო მეთოდის დანერგვა, როგორიცაა აღწერა, თუმცა ამან შესაძლებელი გახადა ლიტერატურის შესახებ მხოლოდ მშრალი ფაქტების დაგროვება. არსებობდა სხვა თვალსაზრისიც, რომლის მიხედვით ლიტერატურული ნაწარმოების ანალიზისას შესაძლებლად იყო მიჩნეული საბუნებისმეტყველო მეცნიერებაში შემუშავებული მეთოდის გამოყენება, რომელიც მიზეზშედეგობრივ კავშირებს ავლენს. ამ მეთოდის გამოყენებით დაიწყო ამა თუ იმ ლიტერატურული ფენომენის ახსნა ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური მიზეზებით. იყო აგრეთვე მცდელობა, ლიტერატურული ნიმუშების ანალიზისას გამოეყენებინათ სტატისტიკაში მიღებული რაოდენობრივი მეთოდები, დაბოლოს, ბიოლოგიის დარგში ცნობილი კონცეფციები, მაგალითად, ევოლუციის თეორია.

დღეისათვის საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ლიტერატურული ნიმუშების მიმართ არც ერთმა ამ მიდგომამ არ გაამართლა. მართალია, მეცნიერულ კვლევებს და ლიტერატურულ ძიებებს შორის არის გარკვეული კავშირი – თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობა მიმართავს ხოლმე იმავე მეთოდებს, რასაც ზოგადად ფუნდამენტური მეცნიერებები (მაგალითად, როგორიცაა ინდუქცია და დედუქცია, ანალიზი და სინთეზი, შედარება). მაგრამ აშკარაა, რომ ლიტერატურის შესწავლას აქვს თავისი მეთოდები, რომლებიც სპეციფიკური ცოდნის მიღების საშუალებას იძლევა და არ ემთხვევა საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მეთოდებს.

დღეს არ შეიძლება ვინმეს ეჭვი შეეპაროს იმაში, რომ ჰუმანიტარულ დისციპლინათა მიღწევები მეცნიერების სფეროს განეკუთვნება. შორეულ წარსულში, ვიდრე მეცნიერება განვითარდებოდა, ფილოსოფიამ, ისტორიამ, იურისპრუდენციამ, თეოლოგიამ და ფილოლოგიამ კვლევის შესაბამისი მეთოდები შეიმუშავა. მიღწევები ამ დარგებში დღეს, შესაძლოა, ნაკლებად შესამჩნევია თანამედროვე საბუნებისმეტყველო მეცნიერებების თეორიულ თუ პრაქტიკულ წარმატებათა ფონზე, მაგრამ მიღწევები ნამდვილად არის. თუმცა ამასთანავე უნდა ვადიაროთ, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და ჰუმანიტარული კვლევის მეთოდებსა და მიზნებს შორის განსხვავება უდავოდ არსებობს.

8. რა არის ამ ტექსტის მთავარი აზრი?

- (ა) მას, ვინც ლიტერატურას ქმნის, უკეთ ესმის ლიტერატურა, ვიდრე მას, ვინც ლიტერატურას შესწავლის.
- (ბ) ფუნდამენტურ მეცნიერულ მეთოდოლოგიებსა და ლიტერატურის შესწავლას ბევრი რამ აერთიანებს.
- (გ) ლიტერატურის შესწავლის მეთოდები განსხვავდება საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მეთოდებისაგან.
- (დ) ჰუმანიტარულ დისციპლინათა მიღწევებს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მიღწევები ჩრდილავს.

9. ტექსტის მიხედვით, ლიტერატურათმცოდნის მიზანია:

- I. გამოკვეთოს ლიტერატურის შესწავლის ისეთი გზები, რომელთა საშუალებითაც ჩამოაყალიბებს გარკვეულ ცოდნას ლიტერატურული ნაწარმოების შესახებ.
- II. ლიტერატურულ ნაწარმოებში ერთმანეთისაგან გამიჯნოს რაციონალური და ირაციონალური ელემენტები.
- III. შეძლოს ლიტერატურული ნაწარმოების შექმნის, როგორც შემოქმედების, და ლიტერატურის შესწავლის, როგორც დისციპლინის, ინტეგრირება.

- (ა) მხოლოდ I
- (ბ) მხოლოდ II
- (გ) მხოლოდ III
- (დ) მხოლოდ I და II

10. მოცემულ ტექსტზე დაყრდნობით, მხატვრობის ნიმუშებისა და მუსიკალური ნაწარმოებების შესწავლა შესაძლებელია:

- (ა) მკაცრი მეცნიერული მეთოდებით.
- (ბ) მხოლოდ მათ მიერ, ვინც თავად ქმნის მხატვრობის ნიმუშებს თუ მუსიკალურ ნაწარმოებებს.
- (გ) რაციონალური სქემებისა და ტერმინოლოგიის გამოყენებით, მიუხედავად იმისა, რომ მხატვრობა და მუსიკა ირაციონალურ სფეროს განეკუთვნება.
- (დ) იმის გათვალისწინებით, რომ მათი წვდომა შეუძლებელია რაციონალური გზით.

11. წარმოიდგინეთ, რომ მკვლევარს უნდა, შეისწავლოს საბავშვო ზღაპარი „ცეროდენა“. ტექსტის ავტორი იტყობდა, რომ ამისათვის მთავარია, მან

- (ა) გააანალიზოს ის სოციალური კონტექსტი, რომელშიც ეს ზღაპარი შეიქმნა.
- (ბ) გამოეყოს და ერთმანეთს შეადაროს ის სიტყვები და გამოთქმები, რომლებიც სხვადასხვა თემას, მაგალითად, პერსონაჟთა ემოციურ მდგომარეობას, პერსონაჟთა მოქმედების ადგილს და ა. შ. უკავშირდება.
- (გ) წარმოაჩინოს ლიტერატურული გავლენები ზღაპრის სტრუქტურაზე, აგრეთვე ამ ზღაპრის გავლენა შემდეგდროინდელ ნაწარმოებებზე.
- (დ) მოაქციოს ზღაპრის კვლევა რაციონალურ სქემაში და ამ გზით ჩამოაყალიბოს გარკვეული აზრი მის შესახებ.

12. ტექსტის ავტორის აზრით, ინდუქციის, დედუქციის, ანალიზის, სინთეზის და შედარების მეთოდები ლიტერატურის შესწავლაში:

- (ა) მისაღებია, რადგან ეს მეთოდები საერთოა ინტელექტუალური დისციპლინებისთვის.
- (ბ) მისაღებია, რადგან საკვლევი საგნის შესახებ ვერ მივიღებთ ინფორმაციას რაოდენობრივი მეთოდების გამოყენების გარეშე.
- (გ) არ არის მისაღები, რადგან ლიტერატურა, მეცნიერებისაგან განსხვავებით, შეიცავს ირაციონალურ ასპექტებს, რომელთა სისტემური კვლევა შეუძლებელია.
- (დ) არ არის მისაღები, რადგან საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს და ჰუმანიტარულ დისციპლინებს სხვადასხვა მიზანი აქვთ.

13. ამ ტექსტის ავტორის კონცეფციას ეყრდნობა ის მკვლევარი, რომელიც:

- (ა) იკვლევს ლიტერატურული ნაწარმოების შექმნის პროცესს.
- (ბ) იყენებს ფუნდამენტური მეცნიერებების მეთოდებს, რათა შეისწავლოს ირაციონალური ელემენტები მხატვრულ ნაწარმოებში.
- (გ) ლიტერატურული ნაწარმოებისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერების პრობლემის შესასწავლად მიმართავს ფუნდამენტურ მეცნიერებათა მეთოდებს.
- (დ) ლიტერატურული ნაწარმოების შესასწავლად მიმართავს როგორც ფილოლოგიაში შემუშავებულ სპეციფიკურ მეთოდებს, ისე ფუნდამენტურ მეცნიერებათა მეთოდებს.

14. ტექსტის მიხედვით, ავტორი ფიქრობს, რომ ლიტერატურული ნაწარმოებების კვლევა მნიშვნელოვანია, რადგან:

- (ა) ამ ტიპის კვლევის შედეგად ირკვევა, რომ მეცნიერული მეთოდი შეიძლება მიუხედავად სხვადასხვა დისციპლინას.
- (ბ) ეხმარება ადამიანს, გახდეს უფრო შემოქმედებითი.
- (გ) გვასწავლის, რომ ჭეშმარიტება შეიძლება აღმოაჩინო არამეცნიერული გზითაც.
- (დ) მას აქვს თავისი სპეციფიკური მეთოდები და იძლევა ისეთი ტიპის ცოდნას, რომელსაც სხვა დისციპლინებიდან ვერ მიიღებ.

ტექსტი C

მოცემულია სამი ცნობილი ენათმეცნიერის – სეპირის, სოსიურისა და ჰუმბოლდტის აზრი ენის შესახებ:

- I. ენა არის იარაღი, რომელიც განკუთვნილია ისეთ სფეროში გამოსაყენებლად, სადაც ჯერ კიდევ არა გვაქვს არავითარი ცნებები და სადაც აზროვნება ჩამოყალიბების პროცესშია.
- II. ენის გამოჩენამდე აზროვნება, აღებული თავისთავად, ჰგავს ბურუსს, სადაც არაფერია მკაფიოდ გამიჯნული, არა გვაქვს წინასწარ დადგენილი ცნებები.
- III. აუცილებლობის ძალით აზროვნება ყოველთვის დაკავშირებულია ენასთან, სხვაგვარად აზრი ვერ გახდება მკაფიო და ნათელი, წარმოდგენა ვერ იქცევა ცნებად.

15. რა არის ის მთავარი, რაც აერთიანებს სამი ენათმეცნიერის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს ენის შესახებ?

- (ა) ენა დასრულებულ სახეს აძლევს აზროვნებას.
- (ბ) ენისა და აზროვნების ურთიერთმიმართების საკითხი ბურუსით არის მოცული.
- (გ) ენა წინასწარ დადგენილი ცნებების გარეგანი საფარველია.
- (დ) ენის საშუალებით ხდება ცნებების წარმოდგენებად გადაქცევა.
- (ე) ენა კომუნიკაციის საუკეთესო იარაღია.